

**მიქს სექტორული მენეჯმენტის თანამედროვე  
ეკონომიკური მოდელი**  
კონცეფცია  
ვასილ ტყეშელაშვილი

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის  
მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა  
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**Modern Economic Model of Mix Sectoral Management  
Concept**

Vasil Tkeshelashvili

The University of Georgia, School of Health Sciences and  
Public Health  
MD, JD, PhD, ScD, Professor

According to one of the old myths the earth is standing on  
three whales.



ერთ-ერთი ძველი მითის მიხედვით დედამიწა დგას სამ  
ვეშაპზე. სამი ვეშაპი, ხატონად, რომლებითაც არის  
შექმნილი სამკუთხედი და მასზე დაფუძნებული  
დღეისათვის მოქმედი ეკონომიკური მოდელი,  
ინტერსექტორული მენეჯმენტით, წარმოდგენილია  
სახელმწიფო (I სექტორი), კომერციული (II სექტორი) და  
არასამთავრობო (III სექტორი) ორგანიზაციების სახით.

კობოს კონტროლის საკითხებზე ონლაინ კენჭისყრების  
ორგანიზებისას 2002, 2003 და 2006 წლებში, პირადად  
წავაწყდი პრობლემას:

პოლში მონაწილეობის მიღებისათვის რეგისტრაციის  
გასავლელად თუ რომელი სექტორისათვის მიმეკუთვნა  
საკუთარი საქმიანობის სფერო. არჩევანის სირთულე  
განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ჯერ კიდევ 1996-1999  
წლებიდან დაწყებული საქმიანობა მეტ-ნაკლები  
მოცულობით მიწევდა სამივე სექტორში:

**I სექტორში:**

1. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის  
სამინისტროს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის  
კიბოს ეპიდემიოლოგიისა და კონტროლის  
განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე;
2. თბილისის მუნიციპალური კიბოს პოპულაციური  
რეგისტრის ხელმძღვანელის თანამდებობაზე;
3. საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის  
ონკოლოგიის კათედრის პროფესორის  
თანამდებობაზე.


**II სექტორში:**

1. ინდივალური მეწარმე - ვასილ ტყეშელაშვილის  
სტატუსით;
2. შპს VT-ს დირექტორის თანამდებობაზე;
3. შპს Health Promotion-ის დირექტორის  
თანამდებობაზე.

**III სექტორში:**

1. კიბოს კონტროლის ეროვნული ასოციაციის (NACC)  
პრეზიდენტის თანამდებობაზე;
2. კავკასიის კიბოს კონტროლის კავშირის (UCCC)  
პრეზიდენტის თანამდებობაზე;
3. ჯანმრთელობის პრომოციის ალიანსის (HPA)  
მთავარი აღმასრულებელი პირის (CEO)  
თანამდებობაზე.

The three whales, that figuratively form a triangle and cur-  
rent economic model with intersectoral management, are  
represented by the State (Sector I), commercial (Sector II)  
and non-governmental (Sector III) organizations.



When organizing on-line voting on cancer control in 2002,  
2003 and 2006, I personally faced the problem: to which  
sector assign my field of activity while registering for par-  
ticipation in the poll. The difficulty of choosing was due to  
the fact that since 1996-1999 my activities more or less  
covered all the three sectors:

**Sector I:**

- ◇ On the position of the Head of Cancer Epidemiology  
and Monitoring Department at National Center of On-  
cology of the Ministry of Labor, Health and Social Af-  
fairs;
- ◇ On the position of the Head of Tbilisi Municipal Can-  
cer Population register;
- ◇ On the position of the Professor of the Chair of Oncol-  
ogy of the Georgian State Medical Academy.

სრულიად შემთხვევით გამოვლენილი, ერთი შეხედვით ინტერესთა კონფლიქტის (?) მსგავსი ეს ემპირიული ფაქტი გვაფიქრებინებს საქმიანობის დამატებითი სექტორის, რომელიც სცილდება არსებული სამივე სექტორის ფარგლებს, არსებობის შესაძლებლობაზე.

ასეთი დაშვების შემთხვევაში, დამატებით IV სექტორში საქმიანობა გულისხმობს პიროვნების 2-3 სექტორში პარალელურ რეჟიმში საქმიანობას, რის გამოც მას პირობითად შერეული, მიქს (Mix) სექტორი შეიძლება ეწოდოს.

სქემატურად საინტერესოა თუ როგორ კონფიგურაციას მიიღებს ასეთ შემთხვევაში ინტერსექტორული ეკონომიკური მოდელი. ის მიიღებს არა მხოლოდ ოთხკუთხედის, არამედ ტეტრაედრის, ანუ სამკუთხა პირამიდის ფორმას. მაშინ როდესაც ორი ტეტრაედრის შერთებით მიიღება ხეოფსის მსგავსი კლასიკური ოთხკუთხა პირამიდა, რომლის ანალოგიური კონფიგურაცია ლოგოს სახით გამოსახულია აშშ-ს 1 დოლარიან კუპიურაზე.

სიმბოლიკის მოყვარულების, გეომატრიული წარმოსახვის, მათემატიკური დასაბუთების და შეფასების მომხრეებისთვის, რომელთა რიგებს, ალბათ, მეც მივეკუთვნები, შესაძლოა საინტერესო იყოს წარმოდგენილი შემდეგი სურათები.

დღევანდელი პრეზენტაციის ფარგლებში, რომ არ გავცდეთ თემატიკას და წავიდეთ დისკუსიაში სამყაროს მოწყობაზე, მაკრო და მიკრო სამყაროების მსგავს სტრუქტურულ და ფუნქციურ თავისებურებებზე, და რომ მოლეკულებისა და ატომების გეომეტრიულ მოდელებად დღეისათვის მიჩნეულია მზის სისტემის მსგავსი კონფიგურაცია, განვიხილოთ სამ სექტორს შორის დღეისთვის არსებული ურთიერთობების მექანიზმი და, შემდგომ, სავარაუდო მიქს სექტორული მენეჯმენტის შესაძლო ეფექტიანობა.

I სექტორი, სახელმწიფოს კონსტიტუციური მოწყობის შესაბამისი ხელისუფლების სტრუქტურული ერთეულების საშუალებით ახორციელებს კანონშემოქმედებით (პარლამენტი), აღმასრულებელ (მთავრობა), სამართალდამცავ (სასამართლო, იუსტიციის სამინისტრო, პენიტენციური სისტემა, სამართალდამცავი სპეცსამსახურები) საზოგადოების მედია ინფორმირების (IV ხელისუფლება) ძირითად ფუნქციებს.

II სექტორი ეწევა კომერციულ საქმიანობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ყველა სფეროში (მათ შორის: მედიის, მედიცინის, დაზღვევისა და ა.შ.), კოდექსის შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტში იხდის გადასახადებს, ქვეყანას, მოსახლეობას, დასაქმებულ პერსონალს, ინდივიდუალ მეწარმეებსა და კორპორაციებს აძლევს მოგებას, მიღებული ეკონომიკური ეფექტით ხელსუწყოებს საზოგადოების განვითარებას.

Sector II:

- ◇ Status of Individual Entrepreneur–Vasil Tkeshelashvili;
- ◇ On the position of the Director of VT Ltd.;
- ◇ On the position of the Director of Health Promotion Ltd.

Sector III:

- ◇ On the position of the President of the National Association of Cancer Control (NACC);
- ◇ On the position of the President of the Caucasian Union of Cancer Control (UCCC);
- ◇ On the position of the CEO of the Health Promotion Alliance (HPA).

This, completely accidentally revealed empirical fact, which looks like the conflict of interest, makes us think of the possibility of existence of an additional sector of activity, which is beyond the limits of all three current sectors.






In the case of such assumption, activity in the additional sector IV involves activities of the individual simultaneously in 2-3 sectors, which can therefore be called mixed sector. Interestingly, in this case how the intersectoral economic model will be configured schematically. It will take not only the shape of the rectangle but also the tetrahedral, i.e. triangular pyramid shape, while the combination of two tetrahedrals creates a classic rectangular pyramid looking like the Pyramid of Cheops, similar to that of the logo on the US dollar 1 bill.






The following pictures can be of interest for fans of symbolism, supporters of geometric imagination, mathematical reasoning and assessments, whom I probably also belong to:

Let's get to the topic of today's presentation and do not go into discussion about arrangement of the universe, structural and functional peculiarities of micro and macro worlds, that geometrical model of molecules and atoms is now considered to be similar to the solar system configuration, and review the existing mechanism of relations between the three sectors and the potential effectiveness of the expected mix sectoral management.

Sector I, by means of the state structural units established in accordance to the constitutional arrangement of the country, performs basic lawmaking (parliament), executive (government), law enforcement (court, Ministry of Justice, Penitentiary System, Law Enforcement Special Services), and public media informing ("Fourth Estate") functions.







III სექტორი დიფერენცირებული პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციების (მათ შორის პროფესიული კავშირების) საქმიანობით, ხშირად ჰუმანიტარული და ვოლონტიორული მოსაზრებით, უზრუნველყოფს საზოგადოების გარკვეული ნაწილის მონაწილეობას მისი განვითარებისათვის მნიშვნელოვან სფეროებში და ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგში.

სამკუთხა მოდელის მიხედვით ინტერსექტორული ეკონომიკური ურთიერთობების მექანიზმი დღეისათვის გამოიყურება შემდეგნაირად: I სექტორი, კერძოდ აღმასრულებელი ხელისუფლება, ახდენს ფინანსური საშუალებების აკუმულირებას სახელმწიფო ბიუჯეტში, ძირითადად II სექტორიდან მიღებული შემოსავლებით, ადგილობრივი და საზღვარგარეთული ინვესტიციებითა და გრანტებით. მთავრობა ყოველწლიურად ადგენს სახელმწიფო ბიუჯეტს ქვეყნის პრიორიტეტების, საზოგადოების (მათ შორის უმცირესობის) ინტერესების გათალისწინებით და რეალურად არსებული ფინანსური რესურსების მიხედვით.

დარგთაშორისო საკომიტეტო განხილვების შემდეგ, სამივე სექტორის ექსპერტების მონაწილეობით, ბალანსირებულ ვარიანტს პარლამენტი ამტკიცებს როგორც კანონს ბიუჯეტის შესახებ. მთავრობა, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შესაბამისად, მიზნობრივად განკარგავს თანხებს და აფინანსებს ძირითადად სახელმწიფო, ე.წ. „საბიუჯეტო“ ორგანიზაციებს და რიგ შემთხვევებში, დოტაციებისა და გრანტების სახით, III სექტორში შემავალ შემოქმედებით და პროფესიულ კავშირებს. შესაბამისად, აღწევს რა დასახულ მიზნებს, ეფექტიანობის შემდგომი გაზრდისთვის ხელისუფლება II სექტორს უქმნის უფრო ლიბერალურ და ჯანსაღ ბიზნეს გარემოს.

კომერციული საქმიანობით მიღებული მოგების გარდა, საზოგადოების განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, II სექტორი, თავისი ბიზნეს შეხედულების მიხედვით, აფინანსებს III სექტორში შემავალ შემოქმედებით და პროფესიულ კავშირებს.

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, სახელმწიფო გეგმის მიხედვით მიზნობრივად გაწეული პროგრამული ხარჯის მოცულობის ზრდის პარალელურად II სექტორს უმცირდება საბიუჯეტო გადასახადი.

სამკუთხა მოდელის მიხედვით ინტერსექტორული ეკონომიკური ურთიერთობის ასეთ შემთხვევაში საგრძნობლად იზოგება დრო, მცირდება კორუპციის დონე მიიღწევა მეტი ეკონომიკური ეფექტი, იზრდება საზოგადოების სოციალური დაცვის ხარისხი, ჩქარდება ქვეყნის განვითარების ტემპი.

Sector II is engaged in commercial activities in accordance with applicable legislation in all important areas of the public life (including media, medicine, insurance, etc.), In accordance with the Code, pay taxes in the state budget, gives the benefit to the country, population, employed personnel, individual entrepreneurs and corporations and with obtained economic effect facilitates development of the society.

Sector through activities of NGOs of differentiated profiles (including trade unions), often with humanitarian and volunteering reasons, ensures participation of the part of the society in important fields for its development and in monitoring of processes taking place in the country.

According to the triangular model, currently the mechanism of intersectoral economic relations is as follows:

Sector I, in particular the executive authorities, accumulates financial resources in the state budget, obtained mainly from revenues from sector II, with local and foreign investments and grants. Every year the government determines the state budget in accordance with the priorities of the country, interests of the society (including the minorities) and based on really available financial resources. After all interdisciplinary committee discussions with participation of experts from all three sectors, the Parliament approves a balanced version as the Law on State budget. In accordance with the expenditures section of the Budget, the government manages the funds purposefully and finances mainly the state, so called "budgetary" organizations and, in some cases creative and professional unions within the Sector III in the form of donations and grants. Therefore, achieving the set goals, the government creates for Sector II more liberal and healthy business environment, aimed at further increasing of effectiveness.

Besides the profit earned by commercial activities, in the interests of community development and according to its business views, Sector II finances the creative and professional unions within the Sector III. In the economically developed countries, with the increase of the volume of program-based expenditures according to the state plan, budgetary fees for the Sector II are reduced.

According to the triangular model, such intersectoral economic relations significantly save the time, decrease the level of corruption, achieve more economic effect, improve the level of social security of the society and increase the country's development pace.

Specifically, when the public is aware of the country's prospective development plan and priorities, which are mainly executed by the Sector I organizations within the annual budget, Sector II can help the Sector I to accelerate the implementation of the mission for the purpose of saving the time.

კერძოდ, როდესაც საზოგადოებისთვის ცნობილია ქვეყნის პერსპექტიული განვითარების გეგმა და პრიორიტეტები, რომლის პროგრამულ აღსრულებაში წლიური ბიუჯეტის ფარგლებში ძირითადად დასაქმებული არიან I სექტორის დარგობრივი ორგანიზაციები, დროის მოგების მიზნით II სექტორს შეუძლია დაეხმაროს I სექტორს მისიის განხორციელების ტემპის დაჩქარებაში. დაგეგმილი მოსალოდნელი შემოსავლების მიხედვით გაწერილი ბიუჯეტის მიხედვით და სახელმწიფო ხაზინაში არსებული რეზერვების გათვალისწინებით მიმდინარე საქმიანობის პარალელურად, დროის მოგების მიზნით, II სექტორის (ისევე როგორც I სექტორის) მიზნობრივი ფინანსებით შესაძლებელია III სექტორმა იმავე პერიოდში წარმართოს დამატებითი საქმიანობა და გაზარდოს საბიუჯეტო წლის განმავლობაში განსახორციელებელი პროგრამების საერთო ეფექტურობა. მეორეს მხრივ, სახელმწიფო გეგმით მომდევნო საბიუჯეტო წლისათვის განსახორციელებელი პროგრამების რაოდენობის შემცირებასთან ერთად დაიზოგება ის დრო, რომელიც დასჭირდებოდა ფინანსირების გარეშე დარჩენილი მიზნობრივი პროგრამების მომავალი წლისათვის გადადებას, მათ ბიუროკრატიულ განხილვა-დამტკიცებას, განსახორციელებელი სახსრების მოძიება - მოპოვებას, ბიუჯეტში მობილიზებას და შემდეგ ხაზინიდან ტრანსფერებს, ხშირ შემთხვევაში ტენდერების გამოცხადება-ორგანიზებას.

ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, დაზოგავს I სექტორში დასაქმებული პირების სამუშაო დროს და ენერგიას, შეამცირებს მათ რიგებში კორუპციის დონეს. გარდა ამისა, უკვე განხორციელებული ამოცანების მუხლებში, მომდევნო წლისათვის მისაღებ ბიუჯეტში, გამოთავისუფლდება ადგილები შემდგომი მესამე წლის პროგრამების დასაფინანსებლად, რაც დააჩქარებს I სექტორის მისიის განხორციელებას და ქვეყნის განვითარების ტემპს. დამატებით, I სექტორიდან გარკვეული ფუნქციების II და III სექტორებზე დელეგირებით, შემცირდება I სექტორში დასაქმებული პირების, პირველ რიგში ბიუროკრატიული აპარატის, რაოდენობა. სამაგიეროდ დასაქმდება და საგრძნობლად გაიზრდება საზოგადოების აქტიური ნაწილის ხვედრითი წონა. საზოგადოებისათვის აქტუალური პრობლემების მოგვარების თვითონ მათთვის მინდობით. II და III სექტორებს შორის ეკონომიკური ურთერთობის ხელშეწყობით, სპეციალისტების დასაქმებასთან ერთად მიღებული იქნება მეტი ეკონომიკური ეფექტი, გაიზრდება საზოგადოების სოციალური დაცვის ხარისხი.

II და III სექტორებს შორის მიზნობრივი ეკონომიკური ურთიერთობის შემდგომი გაფართოების ხელშეწყობა გამართლებულია იმ მოტივიტაც, რომ III სექტორს ყველაზე ღრმად და პროფესიულად ესმის საზოგადოების

Simultaneously to the activities implemented according to the anticipated revenue set by the budget and taking into consideration the reserves available in the State treasury and in order to save the time, targeted financing of the Sector II (as well as the Sector I), under targeted financing the Sector III can carry out additional activities in the same period and enhance overall effectiveness of programs to be implemented during the budget year.

On the other hand, the plan for the next fiscal year to reduce the number of State programs will save the time, which would be needed for: postponement for next year of targeted programs left without financing; for their bureaucratic review and approval; finding the funds for their implementation and mobilizing them in the Budget and transfers from the Treasury; and in most cases, the announcement and organizing of tenders. The latter will, in turn, save the working time and energy of people employed in the Sector I, and reduce the level of corruption among them. In addition, in the articles of already implemented objectives of the next year budget, there will be released funds for financing of the next third year programs, which will accelerate the implementation of the mission of the Sector I and development of the country. Additionally, delegation of certain functions from the Sector I to the Sectors II and III will reduced the number of persons employed in the Sector, first of all the number bureaucratic unit employees. But at the same time, the active part of the society will be employed and its share will be significantly increased. Encouraging the general public to solve essential problems themselves, promoting economic relations between the II and III sectors, together with the employment of specialists will increase the economic effect and improve the social security of the society.

Promoting further expansion of targeted economic relations between sectors II and III is also justified by the fact that the Sector III is understands the needs of the society deeply and most professionally, while the sector II has the mostly developed flair, intuition and knowledge for prediction of its future dynamic according to market demand.

Of course, on the example of Georgia, it should be significantly increased the share of grant-based program funding of economic relationships between sectors I and III. In addition, the Law on grants, especially in the part of taxes, should come in line with international standards. That means, at least, to get back to its initial edition. This, on the one hand, will make easier to receive grants from international funds and increase the volume of resources mobilized in the country, on the other hand, development of the non-governmental sector will not depend on receiving or rejection of funds from abroad, but will to actively engaged be in implementation of state programs, will contribute significantly with activities in key areas of public life and participate in effective monitoring of the ongoing processes in the country.

მოთხოვნილება, ხოლო II სექტორს, დამატებით, ყველაზე მეტად აქვს განვითარებული საბაზრო მოთხოვნილების მიხედვით მისი სამომავლო დინამიკის წინასწარმეტყველების ალლო, ინტუიცია და ცოდნა.

რალა თქმა უნდა, საქართველოს მაგალითზე, საგრძნობლად უნდა გაიზარდოს I და III სექტორებს შორის მიზნობრივი ეკონომიკური ურთიერთობის და პროგრამული დაფინანსების, გრანტული წესით, ხვედრითი წონა. ამასთან ერთად, კანონი გრანტების შესახებ, განსაკუთრებით გადასახადების ნაწილში, შესაბამისობაში უნდა მოვიდეს საერთაშორისო სტანდარტებთან. ანუ, სულ ცოტა, დაუბრუნდეს მისი მიღების დროინდელ, თავდაპირველ რედაქციას. ამით, ერთის მხრივ, გაადვილდება საერთაშორისო ფონდებიდან გრანტების მიღება და გაიზრდება ქვეყანაში მობილიზებული რესურსების მოცულობა, მეორეს მხრივ, არასამთავრობო სექტორის განვითარება აღარ იქნება დამოკიდებული მხოლოდ საზღვარგარეთიდან თანხების მიღება-არმიღებაზე, არამედ ის აქტიურად ჩაერთვება სახელმწიფო პროგრამების რეალიზაციაში, გარკვეულ წვლილს შეიტანს საზოგადოების განვითარებისთვის მნიშვნელოვან სფეროებში საქმიანობით და ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ეფექტურ მონიტორინგში.

გასაგებია, რომ განვითარებად და ტოტალიტარული სტილით მმართველობის ქვეყნებში გართულებულია ამ სამკუთხა მოდელის მიხედვით ინტერსექტორული ურთიერთობა, რაც ხანგრძლივი დროით ტოვებს მათ სავალალო ეკონომიკურ მდგომარეობაში. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ეს მოდელი თავისი დახვეწილი ფორმითაც ვერ აღმოფხვრავს კორუპციას და მხოლოდ ამცირებს მის დონეს, შესაბამისად თანხების მიზნობრივ ხარჯვაზე მეტ-ნაკლებად კონტროლი იკარგება თვით განვითარებულ და დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი.

ინტერსექტორული მიზნობრივი ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი განვითარება და კორუპციის პრევენცია, ჩვენი მოსაზრებით, შესაძლებელი გახდება მიქს სექტორული მენეჯმენტის ეკონომიკურ მოდელზე გადასვლით.

**კონცეფციის ძირითადი იდეა:**

განვითარების თანამედროვე ეტაპზე ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების გათვალისწინებით კონსტიტუციურად და შესაბამისი კანონმდებლობით დაშვებული უნდა იყოს პიროვნების საქმიანობის თავისუფლება მისთვის მისაღებ სექტორში თუ იმავდროულად 2-3 სექტორში.

საზოგადოების საქმიანობის ლეგალიზებით მოხერხდება ჩრდილოვანი ეკონომიკის ჩარჩოებიდან თავის დაღწევა, კორუპციის პრევენცია და სახელმწიფოს რესურსების მიზნობრივი და ეფექტური მართვა.

It is understood that in developing and totalitarian countries intersectoral relations according to this triangular model are complicated, that leaves them in a deplorable economic condition for a long time.

At the same time, it should be mentioned that this model can't eliminate corruption even in its subtle form, but only decrease its level, therefore control over the targeted expenditure of funds is more or less lost even in developed and democratic countries.

To our opinion, further development of targeted intersectoral economic relations and prevention of corruption will be possible after transfer to the **economic model of mix sectoral management**.

**Main idea of the concept:**

In the modern stage of development, with respect to human rights and freedoms, constitution and relevant legislation shall allow the freedom of activities of an individual in acceptable to him/her sector or in 2-3 sectors simultaneously. Legalization of community activities will make it possible to escape from the shadow economy, prevent the corruption and ensure targeted and efficient management of state resources.

In particular, persons employed in the sector I should be entitled to legally invest their own financial resources into private business according to their own opinions.

Of course, this kind of assumption requires introduction of additional protection mechanisms. For example:

- ◇ To ban their direct or indirect participation in the management of private enterprises and to give them the right to shareholders only;
- ◇ To ban their direct or indirect participation in preparation of draft laws and in voting during their approval, who are lobbying in favor of businesses and enterprises which are under their private interests;
- ◇ To ban their direct or indirect participation in organization of tenders, who are lobbying in favor of businesses and enterprises which are under their private interests;
- ◇ To ban their direct or indirect participation in the processes of program-based financing of businesses and enterprises which are under their private interests;
- ◇ Etc. (development of an effective anti-corruption mechanism requires a thorough and qualified interdisciplinary and intersectoral expertise).

In response to the obtaining of legal right of shareholding in the private business, sector I will make concessions and delegate targeted program-based financing and organizing of tenders to the sector III. Under program-based financing of NGOs not participating in these transparent processes the possibility of unlimited public monitoring will be initiated. In addition, universal economic amnesty should be declared once and the last time.



კერძოდ, I სექტორში დასაქმებულ პირებს უფლება უნდა მიეცეთ, მათი საკუთარი შეხედულებების მიხედვით, ფინანსური საშუალებები ლეგალურად ჩადონ კერძო ბიზნესში. რა თქმა უნდა, ასეთი სახის დაშვება დამატებით მოითხოვს დამცავი მექანიზმების შემოღებას. მაგალითად:

- ◇ აიკრძალოს მათი პირდაპირი თუ ირიბი მონაწილეობა კერძო საწარმოების მართვაში და მიეცეთ მხოლოდ მეწილე აქციონერობის უფლება;
- ◇ აიკრძალოს მათი პირდაპირი თუ ირიბი მონაწილეობა კონონპროექტების მომზადებასა და დამტკიცების დროს კენჭისყრაში, რომლებიც ლობირებენ და უპირატესობას ანიჭებენ საკუთარი კერძო ინტერესის ქვეშ მყოფი სფეროებისა და საწარმოების საქმიანობას;
- ◇ აიკრძალოს მათი პირდაპირი თუ ირიბი მონაწილეობა ტენდერების ორგანიზებაში, რომლებიც ლობირებენ და უპირატესობას ანიჭებენ საკუთარი კერძო ინტერესის ქვეშ მყოფი სფეროებისა და საწარმოების საქმიანობას;
- ◇ აიკრძალოს მათი პირდაპირი თუ ირიბი მონაწილეობა საკუთარი კერძო ინტერესის ქვეშ მყოფი სფეროებისა და საწარმოების პროგრამული დაფინანსების პროცესებში;
- ◇ და ა.შ. (ანტიკორუპციული დამცავი ეფექტური მექანიზმის შემუშავება საჭიროებს სკრუპულოზურ და კვალიფიციურ დარგთაშორისო ინტერსექტორულ ექსპერტიზას).

კერძო ბიზნესში მეწილეობა - აქციონერობის ლეგალური უფლების მიღების სამაგიეროდ, I სექტორი წავა დათმობაზე მოახდენს მიზნობრივი პროგრამული დაფინანსებისა და ტენდერების ორგანიზების დელეგირებას III სექტორზე. გამჭირვალედ მიმდინარე ამ პროცესებში არა მონაწილე პროფესიულ არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამული ფინანსირებით ინიცირებულ იქნება საზოგადოებრივი მონიტორინგის შეუზღუდავად წარმოების საშუალება.

გარდა ამისა, ერთხელ და ბოლოჯერ უნდა გამოცხადდეს საყოველთაო ეკონომიკური ამნისტიცია. რეალური, და არა მხოლოდ დეკლარირებული, ამნისტირებით ქვეყანაში დაბრუნდება არალეგალურად გატანილი სიმდიდრის უდიდესი ნაწილი და ინიცირებული იქნება საკუთარი სახსრებით ქვეყანის ეკონომიკის მიზნობრივი რეინვესტირება.

მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწე, საქართველოს სამედიცინო, ბიო-სამედიცინო და სამხედრო-სამედიცინო აკადემიების წევრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თენგიზ ტყემელაშვილი

Real and not declared amnesty will return to the country the largest part of the illegally exported wealth and initiate its targeted reinvesting in economics.

It is assumed that the mix sectoral economic management will create a legal and healthy business environment in the country, reduce mercantile considerations to be employment in sector I, accordingly, the bureaucracy and the costs of its maintenance. At the same time, the management mechanism will simplify, the interests of the sectors will unite, that will fall into the general state interests and legal framework. As a result, in the parallel with the decrease in the number of unemployed people, the share of the active part of the society engaged in the construction of the country will significantly increase, peak number of which will move in the mix sector IV. Finally, if not eliminated, the level of corruption will be minimized, the more economic effect will be achieved, the level of social security of the society will increase, and the country's development will accelerate.

Is dedicated to my father-  
Tengiz Tkeshelashvili

On the birthday on December 10, 2007, Tbilisi



MD, PhD, ScD, Honored Scientist,  
Professor Tengiz Tkeshelashvili

*Conception Deposited by the SakPatent  
(Georgian Patent) on May 27, 2008, certificate #3149*

სავარაუდოა, რომ მიქს სექტორული ეკონომიკური მენეჯმენტი ქვეყანაში შექმნის ლეგალურ და ჯანსაღ ბიზნეს გარემოს, შეამცირებს მერკანტილური მოსაზრებებით I სექტორში დასაქმებისკენ ლტოლვას, შესაბამისად, ბიუროკრატიულ აპარატს და მისი შენახვის ხარჯებს. იმავდროულად გამარტივდება მართვის მექანიზმი, გაერთიანდება სექტორების ინტერესები, რომლებიც მოექცევიან საერთო სახელმწიფო ინტერესების და სამართლებრივ ჩარჩოებში. შედეგად, უმუშევარ პირთა რაოდენობის შემცირების პარალელურად საგრძნობლად გაიზრდება ქვეყნის მშენებლობაში დასაქმებული საზოგადოების აქტიური ნაწილის ხვედრითი წონა, რომელთა პიკური რაოდენობა გადაინაცვლებს IV- მიქს სექტორში, საბოლოოდ თუ არ აღმოიფხვრება, მინიმუმამდე მაინც შემცირდება კორუპციის დონე, მიიღწევა მეტი ეკონომიკური ეფექტი, გაიზრდება საზოგადოების სოციალური დაცვის ხარისხი, დაჩქარდება ქვეყნის განვითარების ტემპი.

ვუძლნი მამაჩემს- თენგიზ ტყემელაშვილს დაბადების დღეზე 2007 წლის 10 დეკემბერს, თბილისი.

*კონცეფცია დეპონირებულია საქპატენტის მიერ 2008 წლის 27 მაისს, მოწმობა #3149*

PS: Михаил Булгаков: Рукописи не горят!

Мастер и Маргарита  
1929-1940



**ზაალ კახიანი-**  
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის რექტორი, საქრველოს სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, საქრველოს სახელმწიფო და ზაზა ფანასკერტელის სახელობის პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო სამედიცინო ორგანიზაციის წევრი, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**Zaal Kakhiani-**  
Rector of the Tbilisi State Medical Academy, President of the Georgian Academy of Medical Sciences, Winner of the State and Zaza Panaskerteli prizes, Knight of the Order of Honor, Member of the many International Medical Sciences Organizations, MD, PhD, ScD, Honored Scientist, Professor

ზაალ კახიანის (დოქტორანტის) ტუშით ნახატი (1954): 1954 წელს პროფესორ კონსტანტინე ერისთავის დოქტორანტის, თენგიზ ტყემელაშვილის პორტრეტი

Zaal Kakhiani's (PhD student) flush drawing (1954): Portrait of Tengiz Tkeshelashvili, PhD student of Professor Konstantin Eristavi in 1954

